გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება № 30

2025 წლის 14 მარტი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (ს/კ 66.05.17.240.01.501), შპს „პანაცეასთვის" (ს/ნ 417877284), პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში 2024 წლის 19 ნოემბერს (N19/2024324319-20) შემოსულია შპს „პანაცეას"(ს/ნ 417877284) დირექტორის ჟუჟუნა წერეთელის (პ/ნ 59001032304) განცხადება, რომელშიც მოთხოვნილია, 10 წლის ვადით იჯარის ხელშეკრულების გაგრძელება ქ. გორში, სტალინის ქუჩა N3-ში მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ს/კ 66.05.17.240.01.501 უძრავ ქონებაზე.

აუდიტური კომპანიის მიერ 2025 წლის 26 თებერვალს N031-ქ, ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით, არასაცხოვრებელი დანიშნულების უძრავი ქონება (ს/კ 66.05.17.240.01.501, ფართობი: 346,59 კვ.მ, მისამართი: ქ. გორი, სტალინის ქუჩა N3), საწყისი საპრივატიზებო ღირებულებად განისაზღვრა: 406 000.00 (ოთხასექვსი ათასი) ლარით.

გორის მუნიციპალიტეტს არ აქვს დაგეგმილი ზემოთ აღნიშნული ქონების რაიმე დამატებითი დანიშნულებით გამოყენება, ხოლო მისი იჯარის ფორმით გადაცემა ადგილობრივ ბიუჯეტს შეავსებს გარკვეული ოდენობის თანხით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. გორში, სტალინის ქუჩა N3 -ში მდებარე ს/კ 66.05.17.240.01.501 უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გაცემა, რისთვისაც

„მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად, საჭიროა განისაზღვროს ჯერ საწყისი საპრივატიზებო ფასი, შემდეგ ყოველწლიური საიჯარო ქირის ოდენობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. გორში, სტალინის ქუჩა N3-ში მდებარე არასაცხოვრებელი დანიშნულების უძრავი ქონება (ს/კ 66.05.17.240.01.501, ფართობი: 346,59 კვ.მ), პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ხელშეკრულებით, კომერციული დანიშნულებით გადასცეს შპს ,,პანაცეას'' ს/ნ 417877284 (დირექტორი: ჟუჟუნა წერეთელი (პ/ნ 59001032304)).
2. არასაცხოვრებელი დანიშნულების უძრავი ქონების (ს/კ 66.05.17.240.01.501, ფართობი: 346,59 კვ.მ, მისამართი: ქ. გორი, სტალინის ქუჩა N3), საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს: 406 000.00 (ოთხასექვი ათასი) ლარით.
3. წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 20400 (ოციათას ოთხასი) ლარით.
4. ქონება, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, გაცემული იქნეს 1 (ერთი) წლის ვადით.
5. მოიჯარეს გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ს/კ 66.05.17.240.01.501 (ფართობი: 346,59 კვ.მ) უძრავი ქონება გადაეცემა კომერციული დანიშნულებით, საოჯახო სასტუმროს მოწყობის მიზნით.
6. გორის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს იჯარის ხელშეკრულება (რაც ორი კვირით ადრე ეცნობება მოიჯარეს). იჯარის ფორმით გადაცემული ქონება გამოთავისუფლებულ იქნას ,,მოიჯარის'' მიერ საკუთარი ხარჯებით.
7. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
8. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**